რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე

№512/თ

„04“ ოქტომბერი, 2023 წელი
ქ. რუსთავი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

**რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ სასამართლოებში გასაჩივრებულ საქმეებზე, საქმეთა თბილისის სააპელაციო სასამართლოში გაგზავნის ვადების ეფექტური კონტროლის მიზნით ცალკეული ღონისძიებების გატარების შესახებ**

რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატი სასამართლოს განსჯადობას მიკუთვნებულ საქმეებზე, სააპელაციო საჩივრების შემოსვლის შემთხვევაში, საქმეთა თბილისის სააპელაციო სასამართლოში გაგზავნის ვადების ეფექტური კონტროლის მიზნით, მიზანშეწონილად მიმაჩნია განისაზღვროს ცალკეული ორგანიზაციული საკითხები.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ და „თ“ ქვეპუნქტების; ,,საჯარო სამსახურის შესახებ” საქართველოს კანონის 50-ე მუხლით და საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 27 ოქტომბრის №466 ბრძანებულებით დამტკიცებული „რაიონული (საქალაქო), საოლქო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოებში ორგანიზაციული მუშაობისა და საქმისწარმოების წესის შესახებ“ დებულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ვ” ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ***რუსთავის საქალაქო სასამართლოს ქსელის ადმინისტრატორს - ნელი უფლისაშვილს*** დაევალოს, რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატი სასამართლოს თითოეული მოსამართლის აპარატისთვის განკუთვნილი ინდივიდუალური ელექტრონული (Exel – ფაილი) ე.წ. ვადების გამომთვლელი პროგრამის ქსელში განთავსება იმგვარად, რომ მოსამართლის თანაშემწეებს წვდომა ჰქონდეთ მხოლოდ მათთვის განკუთვნილ ინფორმაციასთან, ხოლო სპეციალისტს ნაფიც მსაჯულთა საორგანიზაციო საკითხებში - სერგო ლორთქიფანიძეს, მაგისტრატი მოსამართლის აპარატის სპეციალისტს - დიანა ზენაშვილს და მოსამართლის თანაშემწეს - გიორგი ძინძიბაძეს ყველა მოსამართლის თანაშემწის მიერ შეტანილ ინფორმაციაზე;

2. ***რუსთავის საქალაქო სასამართლოს სპეციალისტს ნაფიც მსაჯულთა საორგანიზაციო საკითხებში - სერგო ლორთქიფანიძეს (მის ძირითად ფუნქციებთან ერთად) და მაგისტრატი მოსამართლის აპარატის სპეციალისტს დიანა ზენაშვილს*** დაევალოთ გასაჩივრებული საქმის ა) ნომერი; ბ) კატეგორია; გ) მოსამართლე; დ) მხარეები; ე) გასაჩივრების თარიღი, ასახონ საერთო ქსელში არსებულ გასაჩივრებულ საქმეთა გაგზავნის ვადების გამომთვლელ პროგრამაში, სააპელაციო სასამართლოში გასაგზავნი საჩივრის შემოსვლის დღეს. რუსთავის საქალაქო სასამართლოს სპეციალისტის ნაფიც მსაჯულთა საორგანიზაციო საკითხებში - სერგო ლორთქიფანიძის და

მაგისტრატი მოსამართლის აპარატის სპეციალისტის - დიანა ზენაშვილის არყოფნის ან/და ამ პუნქტით გათვალისწინებული მოვალეობების შესრულების შეუძლებლობისას მითითებული მონაცემების პროგრამაში შეყვანა უზრუნველყოს *რუსთავის საქალაქო სასამართლოს საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების მოსამართლის თანაშემწეებმა/მაგისტრატი მოსამართლის აპარატის სხდომის მდივნებმა.*

3. *რუსთავის საქალაქო სასამართლოში - კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღები განყოფილების უფროსს დაევალოს* სასამართლოში შემოსული სააპელაციო საჩივრების თაობაზე ინფორმაცია, ვადების გამომთვლელ პროგრამაში ასახვის მიზნით, მიაწოდოს რუსთავის საქალაქო სასამართლოს სპეციალისტს ნაფიც მსაჯულთა საორგანიზაციო საკითხებში - სერგო ლორთქიფანიძეს გასაჩივრებული საქმის ა) კატეგორიის; ბ) საქმის ნომრის; გ) მოსამართლის; დ) მხარეების; ე) გასაჩივრების თარიღის მითითებით;

4. *რუსთავის საქალაქო სასამართლოს საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების მოსამართლის თანაშემწეებს/მაგისტრატი მოსამართლის აპარატის სხდომის მდივნებს* დაევალოთ, ვადების გამომთვლელ პროგრამაში ასახონ საქმის თბილისის სააპელაციო სასამართლოში გაგზავნის თარიღი;

5. *რუსთავის საქალაქო სასამართლოს საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების მოსამართლის თანაშემწეს - გიორგი ძინძიბაძეს* დაევალოს, ვადების გამომთვლელ პროგრამაში ასახული მონაცემები, ყოველი თვის 5 რიცხვამდე წარუდგინოს რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეს;

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

7. ბრძანება გაეცნოს რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატი სასამართლოს აპარატის თანამშრომლებს.

*მამია ფხაკაძე*

*რუსთავის საქალაქო სასამართლოს*
*თავმჯდომარე*